სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/35

ქ. თბილისი 24 მარტი 2026 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბირთვული ინჟინერიის ცენტრისა და უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისის ფაბ-ლაბის გაერთიანების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 23 მარტის ოქმის (№3), უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, თამარ ლომინაძის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს წინადადება - თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ინოვაციურ სამეცნიერო-კვლევით გარემოს, მულტიდისციპლინური კვლევების განხორციელების ქმედითი პლატფორმის შექმნის მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ბირთვული ინჟინერიის ცენტრისა და უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისის ფაბ-ლაბის გაერთიანების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის - ბირთვული ინჟინერიისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრის შექმნის თაობაზე.
2. მოწონებული იქნეს ბირთვული ინჟინერიისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრის დებულების, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის და საგრანტო პროექტების ოფისის დებულებებსა და ერთიან საშტატო ნუსხაში შესატანი წარმოდგენილი ცვლილებების პროექტები (დანართი).
3. წინადადება ბირთვული ინჟინერიის ცენტრისა და ფაბ-ლაბის გაერთიანებისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის - ბირთვული ინჟინერიისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრის შექმნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით და ბირთვული ინჟინერიისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრის დებულების,

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის და საგრანტო პროექტების ოფისის დებულებებსა და ერთიან საშტატო ნუსხაში შესატანი წარმოდგენილი ცვლილებების პროექტები დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**